ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

კავკასია

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის

ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი

მიძღვნილი **ზაზა ალექსიძის** დაბადების 75 წლისთავისადმი

გამოცემა მომზადდა 2010 წელს **ზაზა ალექსიძის** 75 წლის
იუბილესთან დაგავშირებით

მთავარი რედაქტორი

დალი ჩიტუნაშვილი

სარედაქციო ჯგუფი

ნიკოლოზ ალექსიძე
მზია სურგულაძე

ISBN 978-9941-0-2996-7

© ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2012.

სარჩევი

TABLE OF CONTENTS

JEAN-PIERRE MAHÉ

Preface 13

BETTY BLAIR

Zaza Aleksidze: Through the Eyes of a Journalist 15

ნინო აფციაური, ანი ჩანტლაძე, ნათია ჩანტლაძე

ზაზა ალექსიძე მოწაფეების თვალით 19

ზაზა ალექსიძე – ბიბლიოგრაფია 22

Bibliography of Zaza Aleksidze

I. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია

HISTORY, ARCHAEOLOGY, ETHNOLOGY

ნინო აფციაური

ქართველთა გაქრისტიანების ისტორიიდან 36

NINO APTSIAURI

From the History of Conversion of the Georgians

Introduction by BETTY BLAIR

"Georgia and Us" by Yusif Vazir Chamanzaminli 43

ზურაბ კიკნაძე

ჯვარ-ხატებში ქალთა მსახურების თაობაზე 46

ZURAB KIKNADZE

The Ordination of Women in the East Georgian Highland

მარიამ ლორთქიფანიძე

ისლამი საქართველოში 54

MARIAM LORTKIPANIDZE

Islam in Georgia

გოჩა ჯაფარიძე

დერთუფა და დერტავი: ქართველ დედათა მონასტრები იერუსალიმში 526

GOTCHA JAPARIDZE

Dertupha and Dertavi: Georgian Nunneries in Jerusalem

VII. საზოგადოებათმცოდნეობა

SOCIOLOGY

BOGHOS LEVON ZEKIYAN

Reflections on the Problem of Ethnic and Cultural Diversity – „Multidimensional Identity“ and „Differentiated Integration“: Conceptual Relationship and Mutual Functions 537

LUIGI MAGAROTTO and GAGA SHURGAIA

Russia, Georgia and the Contested Regions: A Historic Profile Introduction for the Georgian Reader 544

ვლადიმერ პაპავა

„ცენტრალური კავკაზიის“ გეოპოლიტიკური როლის შესახებ 557

VLADIMER PAPAVA

On the Geopolitical Role of „Caucaso-Asia“

„ცენტრალური კავკაზიის“ გეოპოლიტიკური როლის შესახებ

ვლადიმერ პაპავა

პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი;
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობებათა კვლევის ფონდი

შესავალი

ბოლო წლებში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება შედარებით ახალი ტერმინი „ცენტრალური ევრაზია“, რომელიც, როგორც წესი, ერთიან გეოპოლიტიკურ არეალში რვა ქვეყანას მოიცავს – აზერბაიჯანს, თურქმენეთს, საქართველოს, სომხეთს, ტაჯიკეთს, უზბეკეთს, ყაზახეთს დაა ყირგიზეთს. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს ტერმინი მთლად კორექტული არ არის, უწინარეს ყოვლისა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ვინაიდან მოცემულ ტერმინში შენარჩუნებულია ამ გეოპოლიტიკური არეალის რუსული აღქმის სპეციფიკა.

წინამდებარე გამოკვლევის მიზანია ზემოჩამოთვლილი რვა ქვეყნის მომცველი რეგიონის გეოპოლიტიკური აღქმის ზოგიერთი მომენტის ახლებური გააზრება, რომელიც ეფუძნება დესკრიპტულ მიდგომას. ამ უკანასკნელის თანახმად რეგიონი განხილული უნდა იყოს იმის გაუთვალისწინებლად, თუ რა მიზნებს ისახავს მოცემულ რეგიონში ეს თუ ის სახელმწიფო.

„ცენტრალური ევრაზია“: თანაფარდობა გეოგრაფიასა და გეოპოლიტიკას შორის

როგორც ცნობილია, ევრაზია, როგორც კონტინენტი, ორი ნაწილისგან შედგება – ევროპისა და აზიისაგან. ბუნებრივია, რომ ევრაზიის მოცემული გეოგრაფიული განმარტება პრაქტიკულად უცვლელად შეგვიძლია გამოვიყენოთ (და გამოიყენება) გეოპოლიტიკაშიც, რის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითსაც წარმოადგენს ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ზბიგნევ ბჟეზინსკის გამოკვლევები[1].

---

[1] მაგალითად, З. Бжезинский, *Великая шахматная доска. Господство Америки и его геостратегические императивы* (Москва, 2005); მისივე, *Выбор. Глобальное господство и глобальное лидерство* (Москва, 2005).

გარდა ამისა, ამჟამად არანაკლებ გავრცელებულია ევრაზიაზე რამდენადმე განსხვავებული გეოპოლიტიკური შეხედულებაც. საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეროვნული და ტერიტორიული იდენტურობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დადგა რუსეთის წინაშე, რომელიც ბოლო ორასი წლის მანძილზე პირველად აღმოჩნდა მნიშვნელოვნად შევიწროვებულ საზღვრებში. ამან სერიოზულად განაპირობა, ყოველ შემთხვევაში პოსტსაბჭოთა სივრცეში, მისი განსაკუთრებული როლის შესახებ კონცეფციის ძებნა[1]. შემთხვევითი როდია, რომ ისეთი ტიპის კითხვები, როგორიცაა „მაინც რა არის რუსეთი?“ და „სად არის რუსეთი?“, დღესაც არ კარგავს აქტუალურობას[2]. რუსეთის ელიტას და, გარკვეულწილად, საზოგადოებას, საბოლოო ანგარიშით, აღელვებს საკითხი რუსეთის არსებული საზღვრების შესახებ იმის გამო, რომ ზოგიერთი ტერიტორია, სადაც რუსულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სხვა სახელმწიფოთა შემადგენლობაში აღმოჩნდა[3], და რომ ეს შეიძლება რუსეთის მხრიდან ამ სახელმწიფოთა მიმართ ამა თუ იმ სახით აგრესიული პოლიტიკის განხორციელების საფუძველი გახდეს[4]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანს რუსეთში ჩატარებული გამოკითხვების თანახმად სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს საბჭოთა კავშირის აღდგენის იდეა[5], და ეს სავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ რუსეთის საზოგადოებაში გავრცელებულ პოსტიმპერიულ ნოსტალგიას[6]. ამასთან, 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესია იძლევა საბაბს მივიჩნიოთ, რომ რუსეთის ეროვნული იდენტურობა შეუთავსებელია მისი მოსაზღვრე ქვეყნების თავისუფლებასთან[7].

ამასთან, აუცილებელია ისტორიის იმ გაკვეთილის გათვალისწინებაც, რომლის თანახმადაც კავკასიის, ხაზართა სტეპის და ცენტრალური აზიის დაპყრობა რუსეთის სამეფო ელიტამ აღიქვა არა მხოლოდ როგორც იმპერიისათვის სახელის აღთქმა, არამედ, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, როგორც რუსეთის ევროპულობასთან იდენტურობა[8].

რუსეთის იმპერიული ამბიციების თეორიულ საფუძვლად წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას ეგრეთ წოდებული “ევრაზიიზმის“ იდეები, რომლებმაც “ახალი სიცოცხლე“ პოსტსაბჭოთა პერიოდში შეიძინეს[9]. ეს იდეები, მნიშვნელოვანწილად

---

1 J.O’Loughlin, P. F. Talbot. “Where in the World is Russia: Geopolitical Perceptions and Preferences of Ordinary Russians”, *Eurasian Geography and Economics* (2005), Vol. 46, No. 1, pp. 23-50, available at http://www.colorado.edu/IBS/PEC/johno/pub/Wheres-Russia.pdf.

2 მაგალითად, Z. Brzezinski, *The Geostrategic Triad: Living with China, Europe, and Russia* (Washington, 2007), pp. 56, 64.

3 Tolz, Vera. *Russia*. (London, 2001), p. 271.

4 Allison, Roy. “Russia Resurgent? Moscow’s Campaign to ‘Coerce Georgia to Peace.” *International Affairs* (2008), Vol. 84, No. 6, p. 1167.

5 В. Петухов, «Внешнеполитические приоритеты россиян: «новый изоляционизм» или прагматизация сознания». В кн. *Интеграция в Евразии. Народ и элиты стран ЕЭП*, под ред. Игоря Задорина (Москва, 2006) , с. 107.

6 Y.Gaidar, *Collapse of an Empire. Lessons for Modern Russia*, (Washington, 2007), pp. ix-xiv.

7 F. Fukuyama, “They Can Only Go So Far.” *The Washington Post*, August 24 (2008), available at http://www.washingtonpost.com/wp-dyn/content/article/2008/08/22/AR2008082202395.html.

8 R.D. Crews, *For Prophet and Tsar: Islam and Empire in Russia and Central Asia* (Cambridge, 2006), p. 12.

9 L.Tchantouridze, “After Marxism-Leninism: Eurasianism and Geopolitics in Russia.” In *Geopolitics: Global Problems and Regional Concerns*, ed. Lasha Tchantouridze. (Winnipeg, 2004).

გეოგრაფიაზე დაფუძნებული[1], გულისხმობს ევრაზიის გეოგრაფიული კონტინენტის ახლებურ გეოპოლიტიკურ გააზრებას[2].

ის პრობლემა, რომ "ძველი მსოფლიოს"[3] ტერიტორიის ფარგლებში არის სამი და არა ორი კონტინენტი, XIX საუკუნის დამლევს რუსმა პროფესორმა ვ. ი. პომანსკიმ დააყენა[4]. მოგვიანებით ამ კონტინენტის "ნათლია" ცნობილი რუსი გეოპოლიტიკოსი პეტრე სავიცკი გახდა, უწოდა რა ამ მესამე კონტინენტს "ევრაზია", რაც თავისი საზღვრებით ემთხვევა რუსეთს, უფრო ზუსტად კი რუსეთის იმპერიას.[5] ის ხაზს უსვამდა, რომ "ევრაზია" განსხვავდება ევრაზიის ზემოაღნიშნული გეოგრაფიული განმარტებისგან, რომელიც ალექსანდრ ფონ ჰუმბოლდტმა ჩამოაყალიბა[6]. ასე იწყებოდა რუსული გეოპოლიტიკური სკოლის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი – *ევრაზიისტული* მიმდინარეობის ჩამოყალიბება, რომლის მიზანიცაა გეოგრაფიულ ევრაზიაში რუსეთის განსაკუთრებული ისტორიული და კულტურული როლის დამკვიდრება.

გეოგრაფიულად, როგორც ცნობილია, „ძველი მსოფლიო" შედგება ევროპისგან, აზიისგან (ანუ ევრაზიის კონტინენტისგან) და აფრიკისგან, მაშინ, როცა რუსული გეოპოლიტიკური სკოლის მიერ "ევრაზიის" ტერმინის მოცემული განმარტება არსებითად ავიწროვებს ევრაზიის გეოგრაფიული კონტინენტის ტერიტორიულ საზღვრებს. კერძოდ, ევრაზიისტების[7] თანახმად, რუსეთი – ეს განსაკუთრებული კონტინენტია[8] და ევრაზიის გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ განმარტებებს შორის მოცემული ტერმინოლოგიური „კონფლიქტის" გადასაჭრელად გეოპოლიტიკურ კონტექსტში გამოიყენება ისეთი სიტყვათშეთანხმებანიც, როგორიცაა „ევრაზია-რუსეთი", „რუსეთი-ევრაზია", ან „ევრაზიული რუსეთი". ამ პრობლემამ განსაკუთრებული აქტუალურობა კვლავ შეიძინა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რადგან საბჭოთა ხელისუფლების დროს გეოგრაფები ტერმინს „ევრაზია" მხოლოდ გეოგრაფიული მნიშვნელობით ხმარობდნენ[9]. უნდა აღინიშნოს, რომ დისკუსია იმის თაობაზე, თუ როგორ გამოინახოს

---

1 M. Bassin, "Russia between Europe and Asia: The Ideological Construction of Geopolitical Space." *Slavic Review*, (1991), Vol. 50, No. 1, p. 14.

2 მაგალითად, M.W., Lewis, and K.E. Wigen, *The Myth of Continents: A Critique of Metageography* (Berkley,1997), p. 222.

3 1492 წელს ამერიკის აღმოჩენამდე "ძველ მსოფლიოდ" დედამიწის ის კონტინენტი მოიხსენიებოდა, რომელიც მოიცავდა ევრაზიასა და აფრიკას.

4 მაგალითად, Нартов, Н. А., и В. Н. Нартов. *Геополитика* (Москва, 2007), с. 129.

5 П. Н. Савицкий, *Континент Евразия*, (Москва, 1997).

6 П. Н Савицкий, «Географические и геополитические основы Евразийства». В кн. *Основы Евразийства*, под. ред. А. Дугина. (Москва, 2002), с. 300. საყურადღებოა, რომ ტერმინ "ევრაზიის" ავტორობის შესახებ არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის თანახმადაც იგი ეკუთვნის ვენელ გეოლოგს ედუარდ სუესს (Eduard Suess), რომელმაც XX საუკუნის დამლევს ევრაზია უწოდა ევროპასა და აზიას ერთად აღებულს (იხ., Bassin, დასახ. ნაშრომი, p. 10).

7 აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ევრაზიიზმის მიმდევრები თავად უწოდებენ საკუთარ თავს "ევრაზიელებს", რაც, ჩვენი აზრით, ერთგვარ უზუსტობას შეიცავს, რადგან ევრაზიელები ის ადამიანები არიან, რომლებიც სახლობენ ევრაზიაში, მაშინ როდესაც უფრო კორექტული იქნება ევრაზიიზმის მიმდევრებსა და მომხრეებს "ევრაზიისტები" ვუწოდოთ. მოცემულ გამოკვლევაში სწორედ ამ კონტექსტით გამოიყენება ტერმინი "ევრაზიისტები".

8 А. Г. Дугин, «Евразийский триумф». В кн. *Основы Евразийства*, под. ред. А. Дугина, (Москва, 2002).

9 M. L. Hauner, "The Disintegration of the Soviet Eurasian Empire: An Ongoing Debate." In *Central Asia and The Caucasus after the Soviet Union*, ed. Mohiaddin Mesbahi (Gainesville, 1994), p. 222.

კომპრომისი ევრაზიის და იმ ტერიტორიის სწორ გეოგრაფიულ განსაზღვრებებს შორის, რომელზეც რუსეთის კონტროლი ვრცელდება, დასრულებული არ არის[1].

თუ ევრაზიის რუსული გეოპოლიტიკური სკოლის განმარტებას, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, რუსეთის იმპერიული ამბიციების დასაბუთებისათვის იყენებენ, ბუნებრივად დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა იგულისხმებოდეს ტერმინ „ცენტრალური ევრაზიის" ქვეშ.

გეოგრაფიულად „ცენტრალურ ევრაზიაში", როგორც წესი, იგულისხმება ტერიტორია – დასავლეთით ბოსფორის სრუტიდან აღმოსავლეთით ჩინეთის სინძიან-უიგურის პროვინციამდე; ჩრდილოეთით – ყაზახეთის სტეპებიდან სამხრეთით ინდოეთის ოკეანემდე[2]. ადვილი შესამჩნევია, რომ გეოგრაფიული ცენტრალური ევრაზია ფაქტობრივად მთლიანად მოიცავს ცენტრალურ აზიას, მაშინ როდესაც ცენტრალური ევროპა[3] მასში არ შედის. ეს იმით აიხსნება, რომ აზია ზომით იმდენად აღემატება ევროპას, რომ ცენტრალური ევროპა ერთგვარად სცდება ცენტრალურ ევრაზიად წოდებული ევრაზიის ერთიანი კონტინენტის პირობითი ცენტრის ფარგლებს. ამავდროულად, თუ აზიისა და ევროპის ფიზიკურ ზომებს ყურადღებას არ მივაქცევთ და ლოგიკურად ვიმსჯელებთ იმის გათვალისწინებით, რომ *გეოგრაფიული ევრაზია როგორც კონტინენტი ორი ნაწილისგან შედგება – ევროპისა და აზიისგან, გეოგრაფიული ცენტრალური ევრაზია, ბუნებრივია, უნდა მოიცავდეს ცენტრალურ ევროპასაც და ცენტრალურ აზიასაც, აგრეთვე მათ გამაერთიანებელ ცენტრალურ კავკასიასაც*[4].

ფაქტია, რომ ცენტრალური ევრაზიის გეოგრაფიულ განმარტებაზე გავლენას ახდენს მისი გეოპოლიტიკური განმარტება, რომლითაც, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც, ტერმინ „რუსეთში" ბევრი ევრაზიას გულისხმობს[5].

ამგვარად, თუ ევრაზიიზმის რუსული გეოპოლიტიკური სკოლის მიერ ევრაზიის განმარტება საგრძნობლად ავიწროვებს ევრაზიის გეოგრაფიული კონტინენტის საზღვრებს, ცენტრალური ევრაზიის მიმართ ეს განსხვავება ნაკლებად საგრძნობია, რადგან, მოცემულ შემთხვევაში, გეოგრაფია სრულად ექვემდებარება გეოპოლიტიკას, თანაც მის რუსულ სკოლას.

თავისი ხასიათით რუსული გეოპოლიტიკური სკოლის ევრაზიისტული მიმდინარეობა ხელს უწყობს რუსეთის ისტორიულად ჩამოყალიბებული იმპერიული ამბიციების გამართლებას – იბატონოს ევრაზიის გეოგრაფიული კონტინენტის ცენ-

---

1 იქვე, p. 221.

2 მაგალითად, K. Weisbrode, *Central Eurasia: Prize or Quicksand? Contenting Views of Instability in Karabakh, Ferghana and Afghanistan*. The International Institute for Strategic Studies, Adelphi Paper 338 (New York, 2001), p. 11.

3 აკად. თამაზ გამყრელიძის დასაბუთებული მოსაზრების თანახმად, გეოგრაფიულად აღმოსავლეთ ევროპა – ეს რუსეთის ევროპული ნაწილია, ხოლო ის, რაც მე-20 საუკუნის ცივი ომის ეპოქიდან მოყოლებული აღმოსავლეთ ევროპის სახელითაა ცნობილი (რომელშიც სხვადასხვა კომბინაციით შედიან ბალტიის ქვეყნები, ბელარუსი, ბულგარეთი, მოლდოვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, უკრაინა, უნგრეთი, ჩეხეთი) სინამდვილეში ცენტრალურ ევროპას განეკუთვნება (თ. გამყრელიძე, "საქართველო ევროპაა თუ აზია?", *საქართველოს რესპუბლიკა* (1999), 26 ივნისი).

4 Э. Исмаилов, «О категории Центральная Евразия», *Доклады Национальной академии наук Азербайджана*, (2007), Том LXIII, № 1; მისივე, «О геополитической функции «Центральной Евразии» в XXI веке», *Центральная Азия и Кавказ* (2008), № 2 (56).

5 Hauner, "The Disintegration of the Soviet Eurasian Empire...", p. 217.

ტრში[1]. სწორედ საკითხის ამგვარი დაყენება მოითხოვს ცენტრალური ევრაზიისა და მასში შემავალი რეგიონების ახლებურ გააზრებას, რომელიც რუსული იმპერიული დოგმებისაგან[2] იქნება თავისუფალი.

ცენტრალური კავკასია: კავკასიის ცნების გაფართოების კონტექსტი

„კავკასიის" ცნების თანამედროვე გეოპოლიტიკური გაგება ჩამოყალიბდა რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ. კერძოდ, კავკასიაში მისი მოსვლის შემდეგ კავკასიონის მთავარი ქედის მდებარეობის გათვალისწინებით ჩნდება ტერმინები „ამიერკავკასია" („Закавказье")[3], ანუ კავკასიონის ქედს გადაღმა და „ჩრდილოეთ კავკასია", ანუ ტერიტორია, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით. მიუხედავად იმისა, რომ თეირანისათვის, მოსკოვისგან განსხვავებით, განსახილველი რეგიონი კავკასიონს გადაღმა კი არა, გადმოღმაა, სპარსულ ენაზეც ამ რეგიონს „კავკასიონის გაღმა" ეწოდება (*maveran-e kafkas*)[4]. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგიონის იდენტიფიკაციის საერთაშორისო პრაქტიკაზე, უწინარეს ყოვლისა, სწორედ რუსულმა ტრადიციამ მოახდინა გავლენა.

ტერიტორიულად ჩრდილოეთ კავკასია მთლიანად შედის თანამედროვე რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში და იგი იყოფა ორ – მთისწინა და მთიან ნაწილებად. პირველის შემადგენლობაში შედის რუსეთის ფედერაციის სუბიექტები: კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეები, ასტრახანისა და როსტოვის ოლქები და ყალმუხეთის რესპუბლიკა, ხოლო მეორის შემადგენლობაში – ადიღეს, დაღესტნის, ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ჩრდილოეთ ოსეთის-ალანიის და ჩეჩნეთის რესპუბლიკები.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის სამხრეთ საზღვრების განმარტება, ეფუძნებოდა კავკასიის რეგიონში რუსეთის იმპერიის სამხრეთის სახელმწიფო საზღვრებს[5]. კავკასიის სამხრეთი საზღვრების ყველაზე თვალსაჩინო შეცვლა XIX საუკუნის დამლევს გამოვლინდა ყარსის მაგალითზე. კერძოდ, იგი კავკასიის შემადგენელ ნაწილად ჩაითვალა მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ იგი ომის შედეგად წაართვა ოსმანთა იმპერიას; რუსეთის მიერ ყარსის, არდაგანისა და ბაიაზეთის დაკარგვამ კი

---

1 მაგალითად, Ph. Longworth, *Russia's Empires. Their Rise and Fall: From Prehistory to Putin* (London, 2005).

2 თანამედროვე ევრაზიიზმის თეორიული დებულებები ყველაზე რელიეფურად გადმოცემულია ნაშრომებში: А. Дугин, *Основы геополитики. Геополитическое будущее России* (Москва, 1997); მისივე, *Проект «Евразия»* (Москва, 2004).

3 მაგალითად, Т. В. Гамкрелидзе, «"Закавказье" или "Южный Кавказ"? К уточнению геополитической номенклатуры». В кн. *Посткоммунистические демократические преобразования и геополитика на Южном Кавказе. Материалы конференции 17-18 октября 1997 г.*, под ред. В. Кешелава (Тбилиси, 1998).

4 მაგალითად, რ. გაჩეჩილაძე, *ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა* (თბილისი, 2003), გვ. 17.

5 ე. ისმაილოვი, ვ. პაპავა, *ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები.* (თბილისი, 2007), გვ. 34-35; Э.Исмаилов, В. Папава, *Центральный Кавказ: история, политика, экономика*. (Москва, 2007), сс. 17-18; E. Ismailov, V. Papava, "A New Concept for the Caucasus". *Southeast European and Black Sea Studies* (2008), Vo. 8, No. 3; E. Ismailov, V. Papava, *The Central Caucasus: Problems of Geopolitical Economy* (New York, 2008), pp. 8-9.

განაპირობა ის, რომ ამ რეგიონებს გარკვეულწილად აღარ მიიჩნევდნენ კავკასიის რეგიონებად, რადგან რუსეთის პოლიტიკურ და ისტორიულ დოკუმენტებში ისინი კავკასიის რეგიონებად აღარ მოიხსენიება. ამავდროულად, ამ რეგიონებმა, რომლებმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, 1918 წელს შექმნეს სახელმწიფო – „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის (ყარსის) დემოკრატიული რესპუბლიკა“[1], რომლის სახელწოდებაშიც მკაფიოდ ვლინდება მისი კავკასიისადმი კუთვნილება.

რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის სამხრეთ საზღვრების განსაზღვრის ტრადიცია საბჭოთა პერიოდშიც შენარჩუნდა, როცა „Закавказье“-ს შემადგენლობაში შედიოდა სამი მოკავშირე რესპუბლიკა – აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი.

XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს, საბჭოთა კავშირის დაშლისა და აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პრაქტიკულად ყველგან, თავად რუსეთის გარდა, ტერმინი „Закавказье“ შეიცვალა უფრო კორექტული „სამხრეთ კავკასიის“ ტერმინით. საქართველოში პირველად ამ ტერმინების ჩანაცვლების დასაბუთებული წინადადება აკად. თამაზ გაყრელიძემ[2] წამოაყენა, რაც საქართველოს მთავრობის (და არა მარტო) მიერ გაზიარებულ იქნა და გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ოფიციალურ დოკუმენტებში ტერმინი „ამიერკავკასიის“ ნაცვლად ტერმინი „სამხრეთ კავკასია“ გამოიყენება.

ისიც აღსანიშნავია, რომ იშვიათად თუ უფიქრდება ვინმე იმას, რომ ტერმინი „სამხრეთ კავკასია“ ისევე, როგორც ტერმინი „Закавказье“, აშკარად გამოხატავს რუსეთის გეოპოლიტიკურ შეხედულებას ამ რეგიონზე – ცნებებით „ჩრდილოეთ კავკასია“ და „სამხრეთ კავკასია“ გარკვეულწილად ფიქსირდება კავკასიაში რუსეთის ახლანდელი და ყოფილი საზღვრები[3].

„კავკასიის“ შესახებ ისმაილოვისეული კონცეფციის თანახმად[4], ეს ცნება აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის, ასევევ რუსეთის ზემოთ ჩამოთვლილი რეგიონების გარდა, მოიცავს აგრეთვე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებს (ვილაიეთები: აგრი, არდაგანი, ართვინი, ვანი, იგდირი და ყარსი) და ირანის ჩრდილო-დასავლეთ ოლქებს (ოსტანები: აღმოსავლეთ აზერბაიჯანი, არდებილი, გილიანი, ზანჯანი, ყაზვინი, ჰამადანი და დასავლეთ აზერბაიჯანი). რეგიონის ამგვარად გააზრებას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ თურქეთისა და ირანის ამ ოლქებში ისტორიულად კავკასიელი ხალხები ცხოვრობენ, რომლებიც რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობამდე მრავალი საუკუნის განმავლობაში იმავე ეთნოკულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ არეალში იმყოფებოდნენ, რომელშიც კავკასიის დანარჩენი ხალხები.

---

1 А. Гаджиев, *Из истории образования и падения Юго-Западной Кавказской (Карской) демократической республики* (Баку, 1992); მისივე, *Демократические республики Юго-Западного Кавказа (Карская и Араз-Тюркская республики)* (Баку, 2004).

2 მაგალითად, Т. Гамкрелидзе, «“Закавказье” или “Южный Кавказ”?...».

3 ისმაილოვი, და პაპავა. *ცენტრალური კავკასია...*, გვ. 36; Исмаилов, Папава, *Центральный Кавказ...*, сс. 19; Ismailov, Papava. “A New Concept for the Caucasus”; Ismailov, and Papava. *The Central Caucasus...* p. 9.

4 Э. Исмаилов, «О геополитических предпосылках экономической интеграции Центрального Кавказа». *Известия АН Грузии – серия экономическая* (2002), Т. 10, № 3-4; Э. Исмаилов, З. Кенгерли, «Интеграция Кавказа и современные геоэкономические процессы». *Известия Национальной Академии Наук Азербайджана. Серия гуманитарных и общественных наук (экономика)* (2002), No. 1; Э. Исмаилов, З. Кенгерли, «Кавказ в глобализирующемся мире: новая модель интеграции». *Центральная Азия и Кавказ* (2003), № 2 (26).

აქედან გამომდინარე, სავსებით მართებულია, თურქეთისა და ირანის ეს ოლქები ამ ქვეყნების ისეთივე „კავკასიურ“ ოლქებად მივიჩნიოთ, როგორიცაა ჩრდილოეთ კავკასიად წოდებული რუსეთის კავკასიის რეგიონი.

თურქეთისა და ირანის ზემოაღნიშნული გეოგრაფიული ოლქები, ისევე როგორც სომხეთი, რომელიც უდავოდ კავკასიურ სახელმწიფოდ ითვლება, პრაქტიკულად თანაბრად არიან დაშორებული დიდ კავკასიონს და ნაწილობრივ მცირე კავკასიონის ტერიტორიაზე მდებარეობენ.

შესაბამისად, კავკასიის რეგიონი შედგება არა ორი (ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასია), როგორც ეს რუსული გეოპოლიტიკური აზროვნების კარნახით არის გავრცელებული საერთაშორისო პრაქტიკაში და სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ სამი ნაწილისგან: ცენტრალური კავკასია – აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი; ჩრდილოეთ კავკასია, რომელიც რუსეთის ფედერაციის კავკასიის მოსაზღვრე ავტონომიური სახელმწიფო წარმონაქმნებისგან შედგება; და სამხრეთ კავკასია, რომელიც მოიცავს აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მოსაზღვრე თურქეთის ვილაიეთებსა (სამხრეთ-დასავლეთი კავკასია) და ირანის ჩრდილო-დასავლეთ ოსტანებს (სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასია).

კავკასიის ისმაილოვისეული კონცეფცია, ეფუძნება რა რეგიონის ისტორიულ თავისებურებებს, სრულფასოვნად ასახავს არსებულ გეოპოლიტიკურ რეალობას[1].

ცენტრალური კავკასიის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობებს ბევრად განსაზღვრავს ისტორიული ფესვები, რომლებიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა ჩამოყალიბებაზე: აზერბაიჯანი და, კიდევ უფრო მეტად, საქართველო საერთაშორისო ურთიერთობებში ორიენტირებული არიან დასავლეთისკენ, ხოლო სომხეთი – რუსეთისკენ.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში რუსეთმა თავიდანვე არა მხოლოდ მხარს უჭერდა სომხეთს, არამედ სამხედრო დახმარებასაც უწევდა[2]. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სეპარატისტული რეჟიმების პირდაპირი და აშკარა მხარდაჭერისას, უშუალოდ სამხედრო აგრესიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რუსეთი საქართველოსაც დაუპირისპირდა. ამ კონტექსტით გასაკვირი არ არის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში მოსკოვის ძირგამომთხრელი საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა ზემოქმედება საქართველოსა და აზერბაიჯანზე ამ ქვეყნებში სიტუაციის დესტაბილიზაციის მიზნით[3].

დასავლეთისაკენ კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების და ამ მიზნით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (რუსეთისა და ირანის ტერიტორიების გვერდის ავლით) მშენებლობის იდეის ჩასახვისთანავე აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი ფაქტობრივად წარმოადგენდნენ ერთ „გუნდს“, რომელსაც მნიშვნელოვნად უჭერდა მხარს ამერიკის შეერთებული შტატები[4]. შემთხვევითი არ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კასპიის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონში რუსეთის მონოპოლიური პოზიციის აღდგენის პრევენციას, აღიქმება როგორც თავად რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა.

---

1 რ. მეტრეველი, *კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში* (თბილისი, 2007).

2 მაგალითად, А. И. Уткин, *Американская стратегия для XXI века* (Москва, 2000), с. 110.

3 Brzezinski, *The Geostrategic Triad...*, p. 62.

4 J.H. Kalicki, Caspian Energy at the Crossroads. *Foreign Affairs* (2001), Vol. 80, No. 5, p. 122.

ადვილი შესამჩნევია, რომ ცენტრალურ კავკასიაში რუსეთის თანამედროვე პოლიტიკა, სამწუხაროდ, არ იგება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ რუსეთისათვის უფრო ხელსაყრელია საქმე იქონიოს ცენტრალური კავკასიის ერთიან, მთლიან და სტაბილურ ქვეყნებთან[1]; სახეზეა კონფლიქტური რეგიონებისადმი და სტრატეგიული პარტნიორებისადმი ევრაზიიზმის ზემოთ განხილული პრინციპების რეალიზაცია.

„ცენტრალური აზია“ და „დიდი ცენტრალური აზია“

ცენტრალურ აზიასთან დაკავშირებული გეოპოლიტიკური პრობლემების კვლევა განსაკუთრებით აქტუალური გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა ამ რეგიონში ადრე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ხუთი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო (თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი) გაჩნდა.

როგორც ჩანს, საბჭოთა პერიოდის ნაშრომების გავლენით, ზოგიერთ გეოპოლიტიკურ კვლევაში ცენტრალური აზიის ცნება მოიცავს მხოლოდ ხუთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას – თურქმენეთს, ტაჯიკეთს, უზბეკეთს, ყაზახეთსა და ყირგიზეთს, რაც გეოგრაფიული თვალსაზრისით (და არა მხოლოდ) არამართლზომიერია, რადგან ამ რეგიონის საზღვრებს გარეთ რჩება ავღანეთი, მონღოლეთი და ამ ქვეყნების მოსაზღვრე ზემოჩამოთვლილ სახელმწიფოთა რაიონები[2].

გარდა ტერმინისა „ცენტრალური აზია“, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება აგრეთვე ტერმინი „დიდი (Greater) ცენტრალური აზია“. ამ ტერმინით XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს მოინიშნა რეგიონი, რომელიც, ცენტრალურის გარდა, მოიცავდა ასევე სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ აზიას[3]. დიდი ცენტრალური აზიის თანამედროვე, უფრო დაზუსტებული გეოპოლიტიკური განსაზღვრებით, ამ რეგიონში, გარდა ზემოხსენებული ხუთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისა შეყვანილია ავღანეთიც[4], აგრეთვე ჩინეთის სინძიან-უიგურის ავტონომიური რაიონი[5].

„ცენტრალური აზიის“ ცნების შესახებ ზემოხსენებული, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ამ ტერმინის შინაარსის თაობაზე კონსენსუსი მიღწეული არ არის[6].

რეგიონი უცხოელი ინვესტორების ყურადღებას იპყრობს ენერგეტიკის სფეროში, რადგან სამ სახელმწიფოში – თურქმენეთში, ყაზახეთსა და უზბეკეთში ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი მარაგია. ცენტრალური აზიის ჩამოთვლილ სამ ქვეყანაში ნავთობ-გაზის მარაგის ფონზე, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთს მნიშვნელოვანი ჰიდრო-

---

1 К. С. Гаджиев, *Геополитика Кавказа* (Москва, 2003), с. 295.

2 მაგალითად, E. Naby, “The Emerging Central Asia: Ethnic and Religious Factions.” In *Central Asia and The Caucasus after the Soviet Union*, ed. Mohiaddin Mesbahi (Gainesville, 1994), pp. 35-36.

3 R.L. Canfield, Restructuring in Greater Central Asia: Changing Political Configurations, *Asian Survey* (1992), Vol. 32, No. 10, p. 875.

4 S. F. Starr, *A‘Greater Central Asia Partnership’ for Afghanistan and Its Neighbors*. Silk Road Paper, March, 2005. Washington, D.C.: Central Asia-Caucasus Institute (Johns Hopkins University-SAIS, 2005), p. 16, available at http://www.stimson.org/newcentury/pdf/Strategy.pdf; მისივე, “A Partnership for Central Asia”, *Foreign Affairs* (2005), Vol. 84, No. 4.

5 Р. Г. Тянь, «Синьцзян-Уйгурский автономный район Китая и его роль в системе регионального экономического сотрудничества Большой Центральной Азии», *Центральная Азия и Кавказ* (2009), № 1 (61).

6 მაგალითად, Lewis, and Wigen. *The Myth of Continents...*, p. 179.

რესურსები აქვთ, რაც რეგიონში ელექტროენერგეტიკის საერთო ბაზრის ჩამოყალიბების რეალურ შესაძლებლობებს ქმნის[1].

„რუსულ აღმოსავლეთში“ ცენტრალური ყაზახეთის ჩართვით ევრაზიისტები, უწინარეს ყოვლისა, გეგმავენ ყაზახეთის რუსეთთან საერთო კონტინენტურ ბლოკში ინტეგრაციას[2]. შემდეგ, მათი აზრით, უნდა შეწყდეს ატლანტიკური თურქეთის ყოველგვარი გავლენა რეგიონზე, რისთვისაც რუსეთი გამოიყენებს მთავარ მოკავშირეს ირანს, რის შედეგადაც რეგიონი უნდა "გაიჭიმოს" რუსებსა და სპარსელებს შორის[3]. ცენტრალური აზიის "გადაკეთების" მსგავსი ევრაზიისტული მოდელი გამომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის იმპერიული ამბიციებიდან, და, როგორც წესი, არანაირად არ ითვალისწინებს მოცემული რეგიონის სახელმწიფოებისა და ხალხების ინტერესებს.

ცენტრალური კავკაზია: ახალი გეოპოლიტიკური განზომილება

ცენტრალური კავკასიის ქვეყნების – აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის, და ცენტრალური აზიის ქვეყნების – თურქმენეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის პრობლემების ერთობლივად განხილვისადმი მნიშვნელოვანი მეცნიერული (და არა მხოლოდ) დაინტერესება არსებობს[4]. რვა ჩამოთვლილი ქვეყნისაგან შემდგარ ამ რეგიონს, როგორც ამჟამად საყოველთაოდ მიღებულია, ცენტრალური ევრაზია ეწოდება[5]. ამავე ტერმინით მოიხსენიება რეგიონი, რომელიც, ამ რვა ქვეყნის გარდა, მოიცავს ავღანეთსაც[6], რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი ცენტრალური აზიის ჩამოთვლილ ხუთ ქვეყანასთან ერთად დიდი ცენტრალური აზიის შემადგენლობაში შედის.

იქედან გამომდინარე, რომ ჩამოთვლილი რვა ქვეყანა აყალიბებს ორ ქვერეგიონს – ცენტრალურ კავკასიას და ცენტრალურ აზიას, მათ მომცველ უფრო მსხვილ რეგიონს შეიძლება ვუწოდოთ **ცენტრალური კავკაზია**[7]: *ამ შემთხვევაში შენარჩუნებულია სი-*

---

1 მაგალითად, Г. Курганбаева, «Концептуальные основы экономической интеграции стран Центральной Азии». *Центральная Азия и Кавказ* (2004), № 5 (35), с. 178.

2 А. Дугин, *Основы геополитики...*, с. 354.

3 იქვე, сс. 354-355.

4 მაგალითად, G.K.Bertsch, C. Craft, S. A. Jones and M. Beck, eds. *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in The Caucasus and Central Asia* (New York, 2000); O. Oliker and Th. S. Szayna, eds. *Faultlines of Conflict in Central Asia and the South Caucasus: Implications for the U.S. Army* (Santa Monica, 2003); F.Sabahi and D. Warner, eds. *The OSCE and the Multiple Challenges of Transition. The Caucasus and Central Asia* (Aldershot, 2004).

5 მაგალითად, M. P.Amineh and H. Houweling, "Introduction: The Crisis in IR-Theory: Towards a Critical Geopolitics Approach." In *Central Eurasia in Global Politics: Conflict, Security and Development*, eds. M. P. Amineh, and H. Houweling (Leidenl, 2005), pp. 2-3; Ch Fairbanks,., C. R. Nelson, S. F. Starr, and K. Weisbrode, *Strategic Assessment of Central Eurasia* .Washington, D.C.: The Atlantic Council of The United States, Central Asia–Caucasus Institute, Johns Hopkins University, 2001, p. vii; K. Meyer, *The Dust of Empire: The Race for Supremacy in the Asian Heartlan* (London, 2004), p. 206; G.Xuetang, "The Energy Security in Central Eurasia: the Geopolitical Implications to China's Energy Strategy." *China and Eurasia Forum Quarterly* (2006), Vol. 4, No. 4, p. 117, available at http://www.silkroadstudies.org/new/docs/CEF/Quarterly/November_2006/Guo.pdf.

6 მაგალითად, Э.Исмаилов и М. Эсенов. «Центральная Евразия в новых геополитических и геоэкономических измерениях». *Центральная Евразия 2005 (Аналитический ежегодник)* (Luleå, 2005).

7 В. Папава, «Центральная Кавказия» вместо «Центральной Евразии». *Центральная Азия и Кавказ*

ტყვა „ცენტრალური“, რომელიც სახასიათოა, საკვანძოა ორივე ქვერეგიონისათვის, ხოლო სიტყვა „კავკაზია“ ნაწარმოებია ორი სიტყვიდან „კავკასია“ და „აზია“. ინგლისურ ენაზე სიტყვა „კავკაზიის“ ფორმირება რამდენადმე გართულებულია, რადგან მისი ზუსტი თარგმანი – „Caucasia“ სიტყვის „Caucasus“ სინონიმს წარმოადგენს, რაც ქართულ ენაზე „კავკასიას“ ნიშნავს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია „კავკაზიის“ შესაბამის სიტყვად ინგლისურ ენაზე გამოვიყენოთ “*Caucaso-Asia*“, და შესაბამისად, “ცენტრალური კავკაზია“ ინგლისურად იქნება „*Central Caucaso-Asia*“. ხოლო თუ განვიხილავთ რეგიონის არა რვა, არამედ ცხრა ქვეყანას ავღანეთის ჩათვლით, ამ შემთხვევაში მართებული იქნება ამ რეგიონს ვუწოდოთ „დიდი ცენტრალური კავკაზია“, რაც ინგლისურად იქნება „*Greater Central Caucaso-Asia*“.

როცა ცენტრალურ კავკაზიას ვახსენებთ როგორც ერთიან რეგიონს, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური თუ კულტურული ჰომოგენურობის არარსებობის გამო, იგი არ არის ინტეგრირებული[1]. ამასთან, ამ რეგიონში შემავალ ქვეყნებს ბევრი რამ აქვთ საერთო, რაც საინტერესოა სწორედ ერთიანი რეგიონის ფარგლებში მათი განხილვისათვის[2].

ცენტრალური კავკაზიის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება ის არის, რომ ეს რეგიონი მდიდარია ნახშირწყალბადოვანი რესურსებით, რაც მას განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის არა მარტო საინვესტიციო თვალსაზრისით, არამედ ამ რეგიონის მიმართ მსოფლიო და რეგიონალური ლიდერი სახელმწიფოების მხრიდან პოლიტიკური ზეგავლენის დამყარების კონტექსტითაც, რაც სავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად მიმდინარეობს ამ სახლმწიფოების საგარეო პოლიტიკასთან ენერგეტიკული პოლიტიკის ინტეგრაცია[3]. ამასთან აღსანიშნავია, რომ ცენტრალური კავკაზიის ქვეყნების ენერგეტიკულ პოლიტიკაზე ჯერ კიდევ დიდ გავლენას ახდენს რუსეთის ფაქტორი, რაც, როგორც ჩანს, საბჭოთა ეპოქის ძნელად დასაძლევი მემკვიდრეობაა[4].

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ცენტრალურ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას შეუძლიათ სრული მოცულობით აამოქმედონ ის პოტენციური შესაძლებლობანი, რომლებსაც მათი *ურთიერთშევსებადობა* შეიცავს. კერძოდ, ცენტრალური აზიის ნავთობისა და გაზის რესურსებზე დიდი მოთხოვნაა დასავლეთის მხრიდან, ხოლო ცენტრალური კავკასია დაინტერესებულია არა მარტო საკუთარი ნავთობისა და გაზის რესურსების დასავლეთში ტრანსპორტირებით, არამედ აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ენერგეტიკული (და არა მხოლოდ) სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებით, რის შედეგადაც ცენტრალური კავკასია შეძლებს შეასრუ-

---

(2008), № 2 (56), с. 44; V. Papava, “Central Caucaso-Asia: Toward a Redefinition of Post-Soviet Central Eurasia.” *Azerbaijan in the World. The Electronic Publication of Azerbaijan Diplomatic Academy* (2008), Vol. I, No. 17, October 1, available at http://www.ada.edu.az/biweekly/issues/156/20090328041927833.html.

1 Weisbrod. *Central Eurasia: Prize or Quicksand?*, p. 13.

2 Исмаилов, и Эсенов. «Центральная Евразия...».

3 მაგალითად, J. Kalicki and D. L. Goldwyn, eds. *Energy and Security: Toward a New Foreign Policy Strategy*. (Washington, 2005); F. Hill, *Energy Empire: Oil, Gas and Russia's Revival*. London: The Foreign Policy Centre, 2004, available at http://fpc.org.uk/fsblob/307.pdf; J. Roberts, “Energy Reserves, Pipeline Routs and the Legal Regime in the Caspian Sea.” In *The Security of the Caspian Sea Region*, ed. Gennady Chufrin (New York, 2001); S. F. Starr and S. E. Cornell, “The Politics of Pipelines: Bringing Caspian Energy to Markets.” *SAISPHERE*, 2005.

4 მაგალითად, И. Томберг, «Энергетическая политика стран Центральной Азии и Кавказа». *Центральная Азия и Кавказ*, 2003, № 4 (28).

ლოს შესაბამისი "ხიდის" ფუნქცია, რომელიც გახსნის დასავლეთისათვის გეოპოლიტიკურად დახურულ ცენტრალურ აზიას[1].

გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ როგორც მსოფლიო, ისე რეგიონალური გავლენის მქონე სახელმწიფოები თავს დაანებებენ ცენტრალური კავკაზიის ქვეყნებს, და ისინი შეძლებენ თავისუფალი რეჟიმით განვითარებას. სინამდვილეში სიტუაცია ბევრად უფრო რთულია, რის გამოც ამ ქვეყნებმა უნდა გააკეთონ არჩევანი იმის გათვალისწინებით, თუ ამა თუ იმ სახელმწიფოს რომელი მისწრაფებები და მოქმედება შეესაბამება ყველაზე მეტად მათ ეროვნულ ინტერესებს.

დასკვნა

საბჭოთა კავშირის დაშლამ დასაბამი მისცა დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა და ახალი გეოპოლიტიკური არეალების ჩამოყალიბების პროცესს: ეს ახალი არეალები აერთიანებს ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას. ბოლო წლებში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება შედარებით ახალი გეოპოლიტიკური ტერმინი „ცენტრალური ევრაზია", რომელიც, როგორც წესი, ერთიან გეოპოლიტიკურ არეალში მოიცავს აზერბაიჯანს, საქართველოს, სომხეთს, თურქმენეთს, ტაჯიკეთს, უზბეკეთს, ყაზახეთსა და ყირგიზეთს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეროვნული და ტერიტორიული იდენტურობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დადგა რუსეთის წინაშე. რუსეთის იმპერიული ამბიციების თეორიულ დასაბუთებად წარმატებით გამოდგება ეგრეთ წოდებული „ევრაზიიზმის" იდეები, რომლებმაც „ახალი სიცოცხლე" პოსტსაბჭოთა პერიოდში შეიძინა.

თავისი ხასიათით რუსული გეოპოლიტიკური სკოლის ევრაზიისტული მიმდინარეობა ხელს უწყობს რუსეთის ისტორიულად ჩამოყალიბებული იმპერიული ამბიციების გამართლებას – იბატონოს ევრაზიის გეოგრაფიული კონტინგენტის ცენტრში.

საეჭვოა რუსეთმა მოახერხოს დომინირება პოსტსაბჭოთა სივრცეში და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სივრცეში გაჩენილ სხვა „მოთამაშეებს" მნიშვნელოვნად მეტი ეკონომიკური, ინფორმაციული და სამხედრო რესურსები აქვთ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ რუსეთის პოლიტიკური ელიტა არ არის დაინტერესებული უზრუნველყოს და განამტკიცოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო სუვერენიტეტი.

ცნება „კავკასიის" თანამედროვე გეოპოლიტიკური გაგება ჩამოყალიბდა რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ.

„კავკასიის" შესახებ ისმაილოვისეული კონცეფციის თანახმად, ეს ცნება აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის, ასევევ რუსეთის შესაბამისი რეგიონების გარდა, მოიცავს აგრეთვე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ირანის ჩრდილო-დასავლეთ ოლქებს. რეგიონის ამგვარად გააზრება იმ გარემოებას ეფუძნება, რომ თურქეთისა და ირანის ამ ოლქებში ისტორიულად კავკასიელი ხალხები ცხოვრობენ, რომლებიც რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობამდე მრავალი საუკუნის განმავლობაში იმავე ეთნოკულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ არეალში იმყოფებოდნენ, რომელშიც კავკასიის დანარჩენი ხალხები. აქედან გამომდინარე, სავსებით მართებულია თურქეთისა და ირანის ეს ოლქები მივიჩნიოთ ამ ქვეყნების ისეთივე „კავკასიურ" ოლქებად,

---

[1] Дж. Эйвазов, *Безопасность Кавказа и стабильность развития Азербайджанской Республик* (Баку, 2004), с. 132.

როგორიცაა ჩრდილოეთ კავკასიად წოდებული რუსეთის კავკასიის რეგიონი. შესაბამისად, კავკასიის რეგიონი შედგება არა ორი (ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასია), როგორც რუსული გეოპოლიტიკური აზროვნების კარნახით არის გავრცელებული საერთაშორისო პრაქტიკაში და სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ სამი ნაწილისგან: ცენტრალური კავკასია – აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი; ჩრდილოეთ კავკასია, რომელიც რუსეთის ფედერაციის კავკასიის მოსაზღვრე ავტონომიური სახელმწიფო წარმონაქმნებისგან შედგება; და სამხრეთ კავკასია, რომელიც აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მოსაზღვრე თურქეთის ვილაიეთებს (სამხრეთ-დასავლეთი კავკასია) და ირანის ჩრდილო-დასავლეთ ოსტანებს (სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასია) მოიცავს.

ცენტრალური აზია, როგორც გეოგრაფიული რეგიონი, მოიცავს ხუთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას (თურქმენეთს, ტაჯიკეთს, უზბეკეთს, ყაზახეთსა და ყირგიზეთს), მონღოლეთს, ავღანეთს, დასავლეთ ჩინეთს, აგრეთვე ინდოეთის, პაკისტანისა და ირანის ზოგიერთ რაიონს. გეოპოლიტიკური კონტექსტით კი ცენტალურ აზიაში იგულისხმება ხუთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა.

იქედან გამომდინარე, რომ ჩამოთვლილი რვა ქვეყანა აყალიბებს ორ ქვერეგიონს – ცენტრალურ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას, მათ მომცველ უფრო მსხვილ რეგიონს შეგვიძლია ვუწოდოთ „ცენტრალური კავკაზია“: ამ შემთხვევაში შენარჩუნებულია სიტყვა „ცენტრალური“, რომელიც სახასიათოა, საკვანძოა ორივე ქვერეგიონისათვის, ხოლო სიტყვა „კავკაზია“ ნაწარმოებია ორი სიტყვიდან „კავკასია“ და „აზია“.

პოლიტიკური თუ კულტურული ჰომოგენურობის არარსებობის გამო, ცენტრალური კავკაზია არ არის ინტეგრირებული. ამასთან, ამ რეგიონში შემავალ ქვეყნებს ბევრი რამ აქვთ საერთო, რაც საინტერესოა სწორედ ერთიანი რეგიონის ფარგლებში მათი განხილვისათვის.

სამეცნიერო მოხმარებისთვის „ცენტრალური კავკაზიის“ ცნების შემოღება ეს განსახილველი რეგიონის გეოგრაფიული იდენტიფიკაციის არა მხოლოდ დაზუსტებაა, არამედ რეგიონის ქვეყნების სახელმწიფო სუვერენიტეტების განმტკიცებისათვის გამოკვეთილი ინტერესების ისეთი კონცეპტუალური ხედვაცაა, რომელიც საფუძველშივე ეწინააღმდეგება ევრაზიიზმის სულისკვეთებას და იდეებს. ამასთან ნებისმიერი მსჯელობა ევრაზიიზმის სულისკვეთებით ეგრეთ წოდებულ „კავკაზიიზმზე“, როგორც ევრაზიიზმის შესაძლო თეორიულ ანტიპოდზე, საფუძველშივე მცდარია, უწინარეს ყოვლისა, „ცენტრალური კავკაზიის“ პოლიტიკური ჰეტეროგენულობის გამო, როცა რეგიონის ყველა ქვეყანა ერთნაირად არ აღიქვამს როგორც თავად სახელმწიფო სუვერენიტეტის სტატუსს, ისე მისი მიღწევის გზებსაც.

ON THE GEOPOLITICAL ROLE OF “CAUCASO-ASIA”

Vladimer Papava

SUMMARY

The disintegration of the Soviet Union not only resulted in the rise of a group of new independent states but in their integration into newly defined geopolitical areas. In recent years, the term Central Eurasia, which refers to Azerbaijan, Armenia, Georgia, Kazakhstan, Kyrgyzstan, Tajikistan, Turkmenistan, and Uzbekistan, has been attracting attention as a distinct geopolitical area.

There are at least two ways to think about the Eurasian continent in geopolitical terms. The first one focuses on its European and Asian geographic dimensions in its geopolitical vision of the continent. The other approach, which arises from a Eurasianist conception of the region, drawing mainly on geography, equates Russia with Eurasia, an idea that has become popular and much debated in the post-Soviet period.

The Russian geopolitical school's vision of Eurasia thus embodies Russia's old imperial ambitions, and consequently, those who speak about Central Eurasia in terms of Azerbaijan, Armenia, Georgia, Kazakhstan, Kyrgyzstan, Tajikistan, Turkmenistan, and Uzbekistan, leaving aside such territories like Afghanistan, Northern Iran, the Northern Caucasus, Northwestern China, Cashmere, and the Tibetan Plateau are reflecting a Russian understanding that others have disputed.

Some geopolitical studies still follow the Soviet tradition and define Central Asia as including only five former Soviet republics: Kazakhstan, Kyrgyzstan, Tajikistan, Turkmenistan, and Uzbekistan, a definition that leaves out Afghanistan, Mongolia, and adjacent areas. Another term, Greater Central Asia, is sometimes applied to the five former Soviet republics plus Afghanistan.

"The Caucasus" as a geopolitical term appeared when Russia conquered the region. It was divided between "the Trans-Caucasus", the area south of the main Caucasus ridge, and "the North Caucasus", the area to the north of the ridge. The North Caucasus is now part of the Russian Federation, whereas the Trans-Caucasus is the portion south of it to the edge of Russian imperial expansion. After the USSR disappeared, the term "Trans-Caucasus" was replaced with the more correct "South Caucasus", with Russian writers alone using the former.

Viewed from a non-Russian perspective, the Caucasus includes not only Armenia, Azerbaijan, Georgia, and the Russian North Caucasus but also northeastern Turkish areas (the ils of Agri, Ardahan, Artvin, Van, Igdyr, and Kars) and the northwestern parts of Iran (the ostanha of eastern Azerbaijan – Ardabil, Gilyan, Zanjan, Qazvin, Hamadan, and Western Azerbaijan). That division reflects the reality that all these regions have been populated by Caucasian peoples from time immemorial.

From this it follows that the Caucasus region consists not of two parts as the Russians insist but of three: the Central Caucasus (made up of three independent states – Azerbaijan, Armenia, and Georgia); the Northern Caucasus (consisting of Russia's autonomous units bordering on the Caucasus), and the Southern Caucasus, which covers the ils of Turkey bordering on Azerbaijan, Armenia, and Georgia (the Southwestern Caucasus), and northwestern ostanha of Iran (the Southeastern Caucasus).

If we proceed from the fact that the eight countries discussed here form two sub-regions – the Central Caucasus and Central Asia – the larger region, which includes both sub-regions, should be called the *Central Caucaso-Asia* (in Russian, *Kavkazia*), as this preserves the term "Central" as the key one for both regions, while the new term "*Caucaso-Asia*" (or "*Caucasasia*").

The newly coined term "Central Caucaso-Asia" reflects a conceptual idea of the interests of strengthening the local countries' state sovereignty, which, in principle, contradicts the spirit and idea of Russo-centric Eurasianism. And this implicit pro-Western vector better suits the interests of these countries for stronger sovereignty, greater democratization, and the expansion of a market economy.